"დამტკიცებულია"
სსიპ - „საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
კოლეჯის „დირექტორის 2019 წლის
19 აგვისტოს ბრძანებით № 03-22

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯის

ეთიკის კოდექსი

თბილისი 2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი (შემდგომში კლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც საკუთარი მისიიდან გამომდინარე ორიენტირებულია განვითარებაზე, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, მათ დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობაზე.
2. კოლეჯის ეთიკის კოდექსი აღწერს კოლეჯის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის დაცვა და შესრულება პროფესიული სასწავლო დაწესებულების წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რათა კოლეჯმა დაიმკვიდროს კონკურენტუნარიანი, მაღალ ღირებულებებსა და ფასეულობებზე ორიენტირებული სასწავლებლის სახელი.
3.წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. იგი საგანმანათლებლო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად ადგენს პროფესიული მასწავლბელის, სტუდენტისა და ადმინისტრაციული პერსონალის ქცევის ზოგად ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.
4.კოლეჯის ეთიკის კოდექსი მოქმედებს კოლეჯის სხვა შიდა ნორმატიული აქტების პარალელურად და მისი დაცვა სავალდებულოა როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის, ისე პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. ისინი ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალსიწინებული მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, გამოიყენონ ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვან უსაფრთხიების ზომები; გაუფრთხილედნენ დაწესებულების რეპუტაციასა და პრესტიჟს.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1.პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.
2.პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს ეთიკის ნორმების სრული დაცვით.
3.პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა იცავდეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფედენციალურობას.
4.პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა იყოს პუნქტუალური, მოწესრიგებული, ჯეროვან დონეზე მომზადებული და ორგანიზებული. მაქსიმალურად ეფექტურად უნდა იყენებდეს სწავლებისათვის განკუთვნილ დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.
5.პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენტურად

შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები და მუდმივად იზრუნოს თვითგანვითარებაზე.
6. პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები.
7.პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს სხვების განსხვავებულ შეხედულებებს და მრწამსს.
8.პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს პროფესიულ სტუდენტთა აზრს, შეუქმნას მათ ყველანაირი პირობა თავიანთი იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისათვის.
9.პროფესიული განათლების მასწავლებელი არ უნდა აყენებდეს პროფესიულ სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას, უნდა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენდეს პროფესიულ სტუდენტთა აზრს და იღებდეს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.
10. პროფესიული განათლების მასწავლკბელმა პატივი უნდა სცეს კოლეგებს, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მათი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის პიროვნული დამცირება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.

მუხლი 3. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობაა კოლეჯში შექმნას სასწავლო საქმიაობისა და პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემო.
2. ადმინისტრაციული პერსონალი პატივს უნდა სცემდეს დაწესებულებას და მის ტრადიციებს. თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უნდა ეპყრობოდეს სამართლიანად და პატივისცემით. მიუღებელია თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების მიმართ დისკრიმინაცია, მათი სქესის, ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების გამო.
3. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადოებაში კოლეჯსი ავტორიტეტისა და პრესტიჟის განმტკიცებას. ამ მიზნით ადმინისტრაციის პერსონალი ვალდებულია დაემორჩილოს კოლეჯის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას.
4.ადმინისტრაციულმა პერსონალმა, დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანად უნდა გამოიყენოს დაწესებულების ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.
5.ადმინისტრაციულმა პერსონალმა არ უნდა გაამჟღავნოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტის მოვალეობები და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით, კოლეჯის მარეგულირებელი წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით

2.კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებით.

3.სტუდენტი იზიარებს კოლეჯის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს;

4. სტუდენტი აღიარებს კოლეჯის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან იღებს ვალდებულებას შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს წინამდებარე კოდექსითა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს

ბ) მზრუნველობით მოეპყრას და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

გ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტისა და კოლეჯის პერსონალის უფლებებს, თავისუფლებებსა და ქონებას;

6. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მეცადინეობაზე/ ლექციაზე ხმაური,მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

ბ) თამბაქოს მოწევა კოლეჯის ტერიტორიაზე და ეზოში;

გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, აზარტული თამაშები;

დ)კოლეჯის კუთვნილი ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება,კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ე) კოლეჯის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ვ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

ზ) ბილწსიტყვაობა;

თ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

ი) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

კ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის;

ლ) სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, სხვა პირის ნამუშევრის საკუთრად წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, პლაგიატი და სხვა);
მ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა,შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
7. ეთიკის საერთო და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ აღიძვრება დისციპლინური პასუხისმგებლობა;

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1.პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის მიერ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია კოლეჯის შინაგანაწესით, სხვა მარეგულირებელი წესებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.
2.დაწესებულების მასშტაბით დისციპლინური სახდელის დადება ხორციელდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1.წინამდება ეთიკის კოდექსი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
2.წინამდებარე ეთიკის კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3.დაწესებულების ეთიკის კოდექსის განთავსება ხორციელდება დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას საჯაროდ გაცნობისათვის და აგრეთვე, დაწესებულების ვებგვერდზე.
4.დაწესებულების ეთიკის კოდექსის გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის (ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებლები),ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის, რაც დასტურდება ხელშეკრულების გაფორმებისას მათი პირადი ხელმოწერით.